



გამტკიცებ: -----
სსსსუ-ს რექტორი
სრული პროფესორი
გელა ჯავახიშვილი

დიპლომირებული ვეტერინარის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

(სამუშაო ვერსია)

განხილულია:

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო სამეურნეო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
ოქმი № , 2008 წ.

შეთანხმებულია:

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო
სამეურნეო უნივერსიტეტის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურთან

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო
სამეურნეო უნივერსიტეტის
სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან

I. ზოგადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე დებულება არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო სასოფლო - სამეურნეო უნივერსიტეტის სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე სწავლების პირველ საფეხურზე მიღების და უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადების წესს;
- 1.2. სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე სწავლების პირველი საფეხური დიპლომირებული ვეტერინარის საგანმანათლებლო პროგრამითაა წარმოდგენილი.
- 1.3. დიპლომირებული ვეტერინარი არის მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს სავეტერინარო აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და 360 კრედიტის დაგროვების შემდეგ ენიჭება. პროგრამა ითვალისწინებს სავეტერინარო მედიცინაში სპეციალისტის მომზადებას პრაქტიკული ხასიათის პროფესიული საქმიანობისათვის.
- 1.4. სწავლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებისა და 360 კრედიტის მოპოვების შემდეგ დიპლომირებულ ვეტერინარს უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს რეზიდენტურაში ან/და მაგისტრატურაში ან იმუშაოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

2. მიზნები და ამოცანები

- 2.1. სწავლების პირველ საფეხურზე სწავლის მიზანი:
 - 2.1.1. საშუალო ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიულ მომზადებასთან ერთად სასწავლო დისციპლინის თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება, რაც საფუძველს ქმნის რეზიდენტურაში ან სხვა მიმართულებით მაგისტრატურაში შემდგომი სწავლებისათვის;
 - 2.1.2. სპეციალისტის მომზადება პრაქტიკული ხასიათის პროფესიული საქმიანობისათვის;
 - 2.1.3. მისცეს სტუდენტს დარგობრივი სფეროს უახლესი კვლევაზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა;
 - 2.1.4. კლინიკური აზროვნების ჩამოყალიბება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.
- 2.2. სწავლების პირველ საფეხურზე სწავლის ამოცანები:
 - 2.2.1. პიროვნული ინტერესებისა და პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნათა დაკმაყოფილება.
 - 2.2.2. სპეციალისტის მომზადება შიდა და გარე შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის, კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა.
 - 2.2.3. შესაბამისი დარგის სპეციალობების საფუძვლიანად შესწავლა მისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის რეალიზაცია;

3. სწავლების პირველ საფეხურზე სტუდენტთა მიღების წესი

- 3.1 სწავლების პირველ საფეხურზე აკრედიტირებული პროგრამით სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატის მქონე ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიღებული ქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე მოიპოვა ჩარიცხვის უფლება.
- 3.2 უნივერსიტეტი აკრედიტაციის შედეგად დადგენილი მისაღები კონტინგენტის ფარგლებში განსაზღვრავს ადგილებს სწავლების პირველ საფეხურზე, როგორც ჩვენი ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის
- 3.3 უნივერსიტეტში სწავლა დასაშვებია უცხოეთის იმ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის, რომელთაც მოპოვებული აქვთ უმაღლესი განათლების მიღების უფლება იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რომელშიც მიღებული აქვთ საშუალო ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება.
- 3.4 უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად;
- 3.5. სწავლების პირველ საფეხურზე სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

4. სტუდენტის უფლება-მოვალეობანი

4.1 სტუდენტს უფლება აქვს:

- 4.1.1. მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- 4.1.2. მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში;
- 4.1.3. უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესითა და დებულებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- 4.1.4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტის საქმიანობის, მათ შორის, საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ;
- 4.1.5. საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეული იქნას სტუდენტური თვითმართველობის, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის მართვის წარმომადგენლობით ორგანოებში
- 4.1.6. თავისუფლად დააფუძნოს ან გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
- 4.1.7. თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდიათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- 4.1.8. სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოახდინოს მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების ამ

დაწესებულებაში გადატანა საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად;

4.1.9. სახელმწიფოსგან, უნივერსიტეტისგან ან სხვა წყაროდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;

4.1.10. მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროგრამის შემუშავებაში. ინდივიდუალურად აირჩიოს სასწავლო პროგრამა.

4.2. სტუდენტი ვალდებულია:

4.2.1. დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესი, ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები და შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობები;

4.2.2. გადაიხადოს უნივერსიტეტში დადგენილი სწავლის სემესტრული საფასური აღმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადებში;

4.2.3. გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას.

5. დიპლომირებული ვეტერინარის სასწავლო პროცესი

5.1. სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტზე დიპლომირებული ვეტერინარის მომზადება ხდება რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებით, რომლის ხანგრძლივობა 6 წელია.

5.2. ზოგად და სპეციალურ დისციპლინებში კონკრეტულ სასწავლო პროგრამისადმი წაყენებულ მოთხოვნებს განსაზღვრავს შესაბამისი ფაკულტეტი და დეპარტამენტი, განიხილავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

5.3. სწავლების პირველ საფეხურზე სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება ტრანსფერისა და დაგროვების ეროვნული სისტემის - „ECTS“-მიხედვით;

5.4. დიპლომირებული ვეტერინარის დიპლომის მისაღებად სტუდენტმა სრული ექვსი კურსის გავლის შემდეგ უნდა დააგროვოს 360 კრედიტი ანუ წელიწადში 60 კრედიტი.

6. გამოცდების ჩატარების წესი

6.1. სემესტრის განმავლობაში თითოეულ დისციპლინაში სტუდენტის ცოდნა ფასდება ასქულიანი (100) სისტემით 91-100, A, ფრიადი; 81-90, B, ძალიან კარგი; 71-80, C, კარგი; 61-70, D, საშუალო; 51-60, E, დამაკმაყოფილებელი; 41-50, Fx, არაღამაკმაყოფილებელი, სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება; 0-40, F, სუსტი, სტუდენტმა თავიდან უნდა გაიაროს კურსი (დანართი 1. სტუდენტის ცოდნის შეფასების ინსტრუქცია).

6.2. სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:

6.2.1. დანიშნულ გამოცდაზე გამოუცხადებლობა არასაპატიო მიზეზით ან გამოცხადება და გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიის დატოვება;

6.2.2. შეფასების მიღება გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობით და სხვა დაუშვებელი ხერხების გამოყენებით.

6.2.3. გამოცდაზე სხვისი ნაშრომის ან დაუშვებელი ჩანაწერების (ე.წ. “შპარგალკა”) გამოყენება;

6.2.4. აუდიტორიიდან გაძევება – გამოცდის ჩაშლის მცდელობის, ან საგამოცდო განაწესის დარღვევის გამო;

6.2.5. გამოცდაზე შეფასების ამ კომპონენტისათვის დადგენილ ქულათა 50%-ზე ნაკლების მიღება.

6.3. დანიშნული გამოცდის საპატიო მიზეზით გადავადება ან გამოცდაზე უარის თქმა შესაძლებელია სტუდენტის მიერ განცხადების საფუძველზე, საპატიო მიზეზის

- მითითებებითა და დასაბუთებით, გამოცდის ჩატარება უნდა განხორციელდეს მომდევნო სასწავლო სემესტრის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში.
- 6.4. გამოცდის განმეორებით ჩაბარების პირობებია:
- 6.4.1. შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატის გადაწყვეტილება სტუდენტის გამოცდაზე განმეორებით დაშვების შესახებ, დადგენილი წესის თანახმად;
- 6.4.2. 41-დან 50 ქულამდე სემესტრული შეფასების პირობებში სტუდენტს კიდევ ერთხელ ეძლევა დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება, კურსის განმეორებით მოსმენის გარეშე, მომდევნო სემესტრის საგამოცდო სესიების დროს, ამასთან არა უმეტეს ორი გამოცდისა.
- 6.4.3. თუ მიღებულ ქულათა ჯამი 41 ქულაზე ნაკლებია, სტუდენტი ვალდებულია შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ, რომელიც განისაზღვრება სწავლის წლიური საფასურიდან საგნის წილის მიხედვით, განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი დამატებით სემესტრში;
- 6.4.4. სტუდენტი გამოცდაზე განმეორებით დაიშვება მიმდინარე სემესტრის სასესიო პერიოდში, შესაბამისი ფაკულტეტის მიერ დამატებითი გამოცდისათვის დადგენილ ვადებში;
- 6.4.5. ძირითად და დამატებით სასესიო პერიოდში გამოცდებზე გამოუცხადებლობის, ან არადაამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტისათვის განმეორებითი გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დაუშვებელია.
- 6.5 სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სემესტრულ დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეკანატს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა.

7. დამატებითი სემესტრის გავლა

- 7.1 სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებსა და დაფინანსების (სემესტრული გადასახადის) ფარგლებში განმეორებით მოისმინოს ცალკეული სასწავლო კურსები სემესტრულ სამუშაო ნორმად დადგენილი კრედიტების ოდენობით;
- 7.2 სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს სასწავლო პროგრამა მომდევნო, არაუმეტეს ოთხი სემესტრის მანძილზე;
- 7.3 სტუდენტს დამატებითი სემესტრის სწავლის საფასური განესაზღვრება დეკანატის წარდგინების საფუძველზე, შესასწავლი დისციპლინების კრედიტების მოცულობის ან სემესტრული გადასახადის შესაბამისად, შემდეგი წესით:
- 7.3.1. სემესტრში დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამის (30 კრედიტის მოცულობით) სრულად გავლის შემთხვევაში საფასური განისაზღვრება მიმდინარე სასწავლო წელს დადგენილი ტარიფით;
- 7.3.2. ცალკეული სასწავლო კურსის შესწავლისას საფასური განისაზღვრება საგნისათვის მინიჭებული კრედიტის შესაბამისად.
- 7.4 სტუდენტს, რომელიც დამატებითი სემესტრებით გათვალისწინებულ ვადებშიც ვერ დააგროვებს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის საჭირო კრედიტებს, უწყდება სტუდენტის სტატუსი და ეძლევა კურსმოსმენილის ცნობა, შესაბამისი პროგრამის მიხედვით დაგროვილი კრედიტების მითითებით.

8. სტუდენტის გადაყვანის წესით ჩარიცხვა

- 8.1 გადაყვანის წესით ჩარიცხვის უფლება, სწავლის მეორე წლიდან, აქვს სტუდენტს, რომელიც სწავლობს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უსდ), ან იმ არაკრედიტებულ უსდ-ში, რომლის საგანმანათლებლო პროგრამა კანონმდებლობით დადგენილი წესით ითვლებოდა აკრედიტებულად;

- 8.2 სხვა უსდ-დან გადაყვანის წესით სტუდენტების ჩარიცხვა ხორციელდება წელიწადში ორჯერ, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრების დაწყებამდე, სსსსუ-ს მიერ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში დარეგისტრირებულ ვაკანტური ადგილების გათვალისწინებით;
- 8.3 გადაყვანის წესით ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია ხორციელდება სემესტრის დაწყებამდე ერთი თვით ადრე;
- 8.4 გადაყვანის წესით კონკურსანტის ჩარიცხვა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მიმღები ფაკულტეტის წერილობითი მოტივირებული გადაწყვეტილებით დადგინდა სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამისა და სსსსუ-ს სასწავლო პროგრამის თავსებადობა;
- 8.5 კონკურსის შემთხვევაში გადაყვანის წესით ჩარიცხვის წინაპირობაა შესაბამის ფაკულტეტზე მობილობის პროგრამით გათვალისწინებული წერილობითი გამოცდის ჩაბარება დადებითი შეფასებით;

9. გარიცხული (ამორიცხული) სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვა

- 9.1 ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტს, უნივერსიტეტიდან გარიცხვის (ამორიცხვის) შემთხვევაში სტუდენტის სტატუსი შეიძლება აღუდგეს ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე (არაუმეტეს 3 წლის განმავლობაში), გადაყვანის წესით სტუდენტის ჩარიცხვისათვის დადგენილი რეგულაციის შესაბამისად;
- 9.2 გარიცხულ/ამორიცხულ სტუდენტს, რომელიც სსსსუ-ში კანონმდებლობის შესაბამისად ჩარიცხული იყო „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამდე, სტუდენტის სტატუსი შეიძლება აღუდგეს მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, გარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის №127 ბრძანებით დამტკიცებული "ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების" 23-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- 9.3 “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მიღებამდე ჩარიცხულ სტუდენტებს, რომელნიც ამორიცხნენ უნივერსიტეტში მოქმედი წესის თანახმად, პირადი განცხადების საფუძველზე აღდგენის უფლებით, აგრეთვე სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის მიზეზით, სტუდენტის სტატუსი შეიძლება აღუდგეთ მათი გარიცხვის დროისათვის უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად.

10. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

10.1 სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

- 10.1.1. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელიობა;
- 10.1.2 . აკადემიური შეგებულება;
- 10.1.3. სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;
- 10.2 სტუდენტს აკადემიური შეგებულება ეძლევა:
 - 10.2.1. უცხოეთში სწავლის გაგრძელების მიზნით, არაუმეტეს სამი წლის ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროგრამის მეტი ხანგრძლივობა;
 - 10.2.2. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო;
 - 10.2.3. მძიმე ავადმყოფობის მიზეზით;
 - 10.2.4. ოჯახური პირობების გამო (ავადმყოფი წევრების მეურვეობა, ორსულობა , ახალშობილთა მოვლა და სხვა) არაუმეტეს 2 სემესტრისა;

10.3. აკადემიურ შეგებულებაში მყოფი სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, საიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი;

11 . სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

- 11.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
 - 11.1.1. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
 - 11.1.2. პირადი განცხადება;
 - 11.1.3. ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხულთა პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა;
 - 11.1.4. შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში;
 - 11.1.5. კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;
 - 11.1.6. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა ზედიზედ სამი სემესტრის განმავლობაში;
 - 11.1.7. ერთი და იმავე საგნის ორჯერ მოსმენის შემდეგ კრედიტის ვერ მიღება;
 - 11.1.8. უნივერსიტეტის შინაგანაწესის დარღვევა;
 - 11.1.9. გარდაცვალება;
- 11.2. სტატუსის შეწყვეტის კანდიდატს ეძლევა სხვა ფაკულტეტზე, ან სხვა უსდ-ში გადასვლის შესაძლებლობა.

12. დიპლომირებული ვეტერინარის სწავლების ფინანსური უზრუნველყოფა

- 12.1. საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის დიპლომირებული ვეტერინარის სწავლა, შესაბამისად დიპლომირებული ვეტერინარის მომზადება ფასიანია და მისი სიდიდე განისაზღვრება სპეციალობების მიხედვით ფაკულტეტების მიერ, განიხილება აკადემიურ საბჭოზე და მტკიცდება რექტორის ბრძანებით;
- 12.2. სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში;
- 12.3. უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის სასწავლო კონტრაქტის გაწყვეტის შემთხვევაში სწავლებისათვის გადახდილი საფასური სტუდენტს უკან არ უბრუნდება.
- 12.4. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს პრეფერენციული (უფრო დაბალი, შეღავათიანი) ტარიფით გაფორმებული ხელშეკრულება, სტუდენტს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში უნარჩუნდება ხელშეკრულებით დადგენილი საფასურის ოდენობა;
- 12.5. აკადემიურ შვებულებაში მყოფი სტუდენტის აღდგენის შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება ამ პარაგრაფის მე-4 პუნქტით დადგენილი ტარიფით;
- 12.6. პირმა, რომელსაც შეუწყდა სტუდენტის სტატუსი, აღდგენის შემთხვევაში უნდა განაახლოს ხელშეკრულება უნივერსიტეტთან. სწავლის საფასური ამ შემთხვევაში განისაზღვრება სტუდენტის სტატუსის აღდგენისას დადგენილი ტარიფით;
- 12.7. სტუდენტს უფლება აქვს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუქმება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების, ან მისი მომდევნო სემესტრებში გამოყენების მოთხოვნის უფლებას;
- 12.8. ადმინისტრაციული რეგისტრაციის დადგენილ ვადებში გავლის გარეშე სტუდენტის სასწავლო პროცესში თვითნებური მონაწილეობა არ წარმოშობს მის უფლებას მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის დამატებით გავლა და მიღებული მომსახურების (შუალედური შეფასებების) აღიარება;

13. მოთხოვნები დიპლომირებული ვეტერინარისადმი

13.1. დიპლომირებული ვეტერინარი არის მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს სავეტერინარო აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისა და 360 კრედიტის დაგროვების შემდეგ ენიჭება. პროგრამა ითვალისწინებს სპეციალისტის მომზადებას პრაქტიკული ხასიათის პროფესიული საქმიანობისათვის.

13.2. დიპლომირებული ვეტერინარისადმი განათლების საერთო მოთხოვნები განისაზღვრება დიპლომირებული ვეტერინარის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული აუცილებელი მინიმუმით.

13.3. **შესასწავლი დარგობრივი სფეროს, მეთოდოლოგიისა და დარგობრივი ეთიკის ცოდნა.**

დიპლომირებულ ვეტერინარს უნდა გააჩნდეს დარგობრივი სფეროს ფართო და გადრმავებული ცოდნა. იგი უნდა ფლობდეს სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; იცნობდეს დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს და ესმოდეს ცოდნის გადრმავების აუცილებლობა. კარგად უნდა ქონდეს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო ეთიკური ნორმები.

13.4. **დარგობრივი სფეროს შესახებ არსებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.**

დიპლომირებულ ვეტერინარს უნდა შეეძლოს დარგობრივ სფეროში კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით.

13.5. **ანალიზისა და სინთეზის უნარი.**

დამოუკიდებლად შეეძლოს ახალი და განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი მეთოდების გამოყენებით. მინიმალური ხედამხედველობის/ხელმძღვანელობის პირობებში შეეძლოს აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების ტრანსფორმაცია მოცემული საჭიროებისათვის და პრობლემის გადაჭრის ახალი გზების შემუშავება.

13.6. **პრობლემის გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების უნარი.**

შეეძლოს მონაცემების ინტერპრეტაცია; თავის სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრისათვის სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენება.

13.7. **ღრვის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი.**

შეეძლოს პასუხისმგებლობის სფეროში სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის შედგენა. პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება, ჯგუფის გამოცდილ წევრებთან/ხელმძღვანელთან კონსულტირება.

13.8. **კომუნიკაციის უნარი მშობლიურ და უცხო ენაზე.**

შეეძლოს დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა და პროექტის დეტალური და მომცველი წერილობითი ანგარიშის მომზადება. უნდა გააჩნდეს უცხო ენის ცოდნის B2 დონე- დამოუკიდებელი მოსაუბრე.

13.9. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი.

დიპლომირებულ ვეტერინარი უნდა იცნობდეს და თავისუფლად იყენებდეს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), მათ შორის დარგობრივ სფეროში; შეეძლოს ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება.

13.10. სოციალური უნარები

ჯგუფური მუშაობის უნარი- უნდა შეეძლოს ეფექტურად ურთიერთობა სამუშაო/სასწავლო/პროფესიულ ჯგუფში, შეეძლოს პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკება და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა.

13.11. სისტემური უნარები

სწავლის უნარი- შეეძლოს საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით. შეეძლოს საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა.

კვლევის უნარი- შეეძლოს კვლევითი სამუშაოს შესრულება წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების მიხედვით ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ.

პროექტის შემუშავების უნარი- შეეძლოს აკადემიური პროექტების ცალკეული კომპონენტების შემუშავება.

დამოუკიდებლად მუშაობის უნარი - პასუხი აგოს საკუთარ სამუშაოზე და შეეძლოს მისი შეფასება/კრიტიკა. შეეძლოს დამოუკიდებელი მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების შესაბამისად. ხშირად იკისროს მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა სხვების საქმიანობაზეც.

შენიშვნა

სსსსუ-ში სტუდენტთა მიღების წესი რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის საფუძველზე.

14. დიპლომირებული ვეტერინარის აკადემიური ხარისხის მინიჭება

14.1 სტუდენტის მიერ არჩეული სასწავლო პროგრამის მიხედვით დიპლომირებული ვეტერინარის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, რექტორის ბრძანების საფუძველზე.

14.2 დიპლომირებული ვეტერინარის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი სპეციალური საბუთი – დიპლომი, მიეცემა კურსდამთავრებულს, რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით უნივერსიტეტის ბეჭდით დამოწმებული;

14.3 სტუდენტს სასწავლო პროგრამის სრულად გაუვლელი შემთხვევაში საერთო დებულების შესაბამისად, მიეცემა უნივერსიტეტის დიპლომიერებული ვეტერინარის კურსმოსმენილის მოწმობა (სერთიფიკატი).

14.4. სტუდენტის სტატუსი წყდება საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას ან უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

15. დიპლომირებული ვეტერინარის დასაქმების სფერო

დიპლომირებული ვეტერინარის დასაქმების სფეროა სავეტერინარო დაწესებულებები, ვეტერინარული კლინიკები, სადიაგნოსტიკო ვეტერინარული ლაბორატორიები, სასაზღვრო და საბაჟო ვეტერინარული სამსახურები, ფერმერულ მეურნეობები, კერძო სექტორი. დიპლომირებული ვეტერინარის კურსდამთავრებულებს უფლება აქვთ გააგრძელონ სწავლა მაგისტრატურაში და რეზიდენტურაში. საქართველოს კანონით საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის შესაბამისად ორგანიზაციებში მათთვის განსაზღვრულია თანამდებობრივი დასაქმების სფეროები.